

**სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“**  
ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

# სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“

## შინაარსი

---

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგების/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და პრინციპებს და სხვა განმარტებით შენიშვნებს. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძვლები

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (IAS) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელნი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამასია, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას

განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

#### *აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.
- შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.
- დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირების უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა

მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არაადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

- ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა არის შოთა თალავაძე .

შპს ნექსია თიეი-ს სახელით

თბილისი, საქართველო  
30 მარტი, 2018

სს “საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი”  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016 გადაანგარიშებული
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	8	10,224	4,825
არამატერიალური აქტივები, წმინდა	9	2,127	2,181
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	10	416,177	416,177
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>428,528</b>	<b>423,184</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
დებიტორული დავალიანება	7	68,016	41,780
წინასწარ გაწეული ხარჯები		1,876	1,050
საგადასახადო აქტივი		146	47
მოკლევადიანი ინვესტიციები	6	78,386	80,762
ფული და ფულის ექვივალენტები	5	22,672	48,365
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>171,095</b>	<b>172,005</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>599,624</b>	<b>595,188</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
<b>კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	13	368,560	338,560
გაუნაწილებელი მოგება/ (ზარალი)		169,093	203,863
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>537,653</b>	<b>542,423</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
კრედიტორული დავალიანება	11	47,481	45,507
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან	12	14,387	7,155
მოკლევადიანი სესხები		103	103
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>61,971</b>	<b>52,766</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>61,971</b>	<b>52,766</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>599,624</b>	<b>595,188</b>

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი  
 30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი  
 30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს "საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი"  
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

		2017	2016 გადაანგარიშებული
საკომისიო შემოსავალი		45,068	17,819
საკომისიო ხარჯი		(59,394)	(64,453)
<b>წმინდა საკომისიო ხარჯი</b>	<b>14</b>	<b>(14,326)</b>	<b>(46,634)</b>
სხვა საოპერაციო შემოსავალი	16	38,747	31,454
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება	17	(4,240)	15,268
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(35,559)	(34,769)
სხვა საშუამავლო შემოსავალი	15	3,324	-
სხვა ხარჯები	19	(22,534)	(13,561)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>(34,587)</b>	<b>(48,242)</b>
მოგების გადასახადი		(183)	(271)
<b>წლის მოგება (ზარალი)</b>		<b>(34,770)</b>	<b>(48,512)</b>
<i>სხვა სრული შემოსავალი</i>			
<b>სხვა სრული შემოსავლები წლის განმავლობაში</b>		<b>-</b>	<b>-</b>
<b>სულ სრული შემოსავლები (ზარალი) წლის განმავლობაში</b>		<b>(34,770)</b>	<b>(48,512)</b>

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში მოცემულია გვერდებზე 1-3.

სს “საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი”  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>31 დეკემბერი, 2015 გადაანგარიშებული</b>	<b>308,560</b>	<b>252,375</b>	<b>560,935</b>
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	(48,512)	(48,512)
მოთხოვნა სააქციო კაპიტალი შევსებაზე	30,000	-	30,000
<b>31 დეკემბერი, 2016 გადაანგარიშებული</b>	<b>338,560</b>	<b>203,863</b>	<b>542,423</b>
პერიოდის მოგება / (ზარალი)	-	(34,770)	(34,770)
მოთხოვნა სააქციო კაპიტალი შევსებაზე	30,000	-	30,000
<b>31 დეკემბერი, 2017</b>	<b>368,560</b>	<b>169,092</b>	<b>537,652</b>

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი

30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 მარტი, 2018  
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



სს “საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი”  
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

	2017	2016 გადაანგარიშებული
<b>წლის მოგება დაბეგრამდე:</b>	<b>(34,770)</b>	<b>(48,512)</b>
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,601	2,836
ფინანსური აქტივების გაუფასურება / აფასება	(3,918)	(2,389)
მოგება / (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	4,240	(15,268)
<b>ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:</b>		
საგადასახადო აქტივის ზრდა (შემცირება)	(98)	(601)
დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	26,235	-
კრედიტორული დავალიანების ზრდა	9,206	45,053
<b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები</b>	<b>3,495</b>	<b>(18,881)</b>
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
<b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>3,495</b>	<b>(18,881)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
მოკლევადიანი ინვესტიციები	(32,700)	(131,160)
ძირითადი საშუალებების ყიდვა	(7,946)	(603)
არამატერიალური აქტივების ყიდვა	-	(1,820)
აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	8,460	-
გაცემული სესხები	-	-
მიღებული დივიდენდი	2,800	11,851
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>(29,386)</b>	<b>(121,732)</b>
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	-	-
<b>საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>-</b>	<b>-</b>
ფული და ფულის ექვივალენტები		
1 იანვრის მდგომარეობით	48,365	191,442
<b>წმინდა ზრდა წლის განმავლობაში</b>	<b>(25,891)</b>	<b>(140,613)</b>
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტზე	198	(2,464)
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>22,672</b>	<b>48,365</b>

მენეჯმენტის სახელით:

გენერალური დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
30 მარტი, 2018 თბილისი, საქართველო	30 მარტი, 2018 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-33 წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-2.

სს “საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი”  
ფინანსური ანგარიშების შენიშვნები  
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
(ქართულ ლარში)

1. შესავალი

**ზოგადი ინფორმაცია**

სს “საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ავტორიზებული იქნა გამოსაცემად გენერალური დირექტორის 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით.

სააქციო საზოგადოება საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი (კომპანია), დაფუძნებულია 2006 წლის 13 იანვარს და ფუნქციონირებს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და წესდების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ჭავჭავაძის გამზირი N74<sup>ა</sup>, თბილისი, საქართველო.

კომპანიის გაცხადებული კაპიტალი არის 400,000 ლარი. კომპანიის აქციონერები არიან გიორგი ლოლაძე (განთავსებული აქციების 90.37%) და ნიკოლოზ ლოლაძე (განთავსებული აქციების 9.463%).

კომპანია წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ საბროკერო კომპანიას, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კომპანია ახორციელებს საბროკერო საქმიანობას.

**საანგარიშგებო ვალუტა**

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტა არის - ქართული ლარი (GEL). გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება ოფიციალურ ვალუტაში გარიგების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე კურსით. ფულადი საშუალებები უცხოურ ვალუტაში ანგარიშგების დღისათვის კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საანგარიშო დღის სავალუტო კურსით. კურსის ყველა სხვაობა, რომელიც წარმოიშობა ანგარიშსწორებისას, ჩაითვლება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468
1 EUR/GEL	3.1044	2.7940
ამ პერიოდისათვის საშუალო გაცვლითი კურსი არის შემდეგი:		
	2017	2016
1 USD/GEL	2.5086	2.3667
1 EUR/GEL	2.8322	2.6172

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი

### ანგარიშგების მომზადების საფუძველი

#### *განცხადება შესაბამისობის შესახებ*

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინა წლების ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

#### *შეფასების საფუძველი*

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით).

#### *წინა წლის გადაანგარიშება*

კომპანიას არასწორად ჰქონდა აღრიცხული გრძელვადიანი ინვესტიციები, როგორც მოკლევადიანი 419,544 ლარის ოდენობით, ასევე კომპანიას ჰქონდა გაკეთებული გრძელვადიანი თვითღირებულებით რიცხული ინვესტიციის გადაფასება 3,367 ლარის ოდენობით რითიც გაზრდილი იყო კომპანიას სხვა შემოსავალი და სულ კაპიტალი.

კომპანია 2017 წლამდე აღრიცხავდა პერიოდის საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურების ხარჯების მომდევნო პერიოდში, რისი გავლენაც 2016 წლის მოგება/ზარალზე და სულ კაპიტალზე შეადგენდა 5,000 ლარს (გაზრდილი მოგება). ასევე კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებები მეკავშირე საწარმოში ინვესტიციასთან დაკავშირებით ჰქონდა დაკლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი.

ქვემოთ მოცემული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები არის გადაანგარიშებული.

## შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საეჭვო ხდება სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების დროული დაფარვა, ისინი ექვემდებარებიან ჩამოფასებას მოსალოდნელი ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულებამდე, შესაბამისად აღიარდება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ღირებულების დისკონტირების გაუქმების შედეგად, რომელიც ეფუძნება გაუფასურების ზარალის შესაფასებლად გამოყენებულ აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

## მოგების გადასახადი

საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც შედის მოგება-ზარალში მიმდინარე საგადასახადო და გადავადებული საგადასახადო პერიოდისათვის.

მიმდინარე გადასახადი არის საშემოსავლო გადასახადის თანხა, რომელიც გადასახდელია ან უკან დაბრუნებადია დასაბეგრ მოგებასა ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისათვის.

გადავადებული გადასახადის აქტივი ან პასივი აღიარებულია გადასახადისათვის, რომელიც ამოღებულა ან გადასახდელია სამომავლო პერიოდებში, როგორც წარსული გარიგებების ან ღონისძიებების შედეგი. გადავადებული გადასახადი წარმოიშობა სხვაობისგან (ცნობილია, როგორ დროებითი სხვაობა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ განაცხადში მოცემული აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის. აქტივების საგადასახადო ბაზა განისაზღვრება აქტივების გათავისუფლების თანმიმდევრობით.

გადავადებული საგადასახადო პასივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რასაც მოსალოდნელია, რომ გაზრდის მომავალში დასაბეგრ მოგებას, გარდა მათი, რაც დაკავშირებულია ფირმის პრესტიჟთან („გუდვილი“). გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია ყველა დროებითი სხვაობისათვის, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მომავალში დასაბეგრ მოგებას და ნებისმიერ გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ფასდება უმაღლესი თანხით, რომელიც მეტად მოსალოდნელია, რომ არ იქნება ამოღებული, მიმდინარე ან სამომავლო გეგმიური დასაბეგრი მოგების საფუძველზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საანგარიშო ღირებულება განიხილება ყოველ სააღრიცხვო თარიღზე და რეგულირდება, რათა ასახოს მომავალი დასაბეგრი მოგების ახლანდელი შეფასება. ნებისმიერი რეგულირება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ სხვა მთლიანი შემოსავალის პუნქტისათვის არ არის დამახასიათებელი.

გადავადებული გადასახადი გამოიანგარიშება საგადასახადო ტარიფით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება დასაბეგრ მოგებაზე (საგადასახადო ზარალი) იმ პერიოდისათვის, როცა მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივები განთავისუფლდება ან გადავადებული საგადასახადო პასივები დაიფარება, იმ საგადასახადო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

### **ძირითადი საშუალებები**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

<i>ძირითადი საშუალებების ჯგუფი</i>	<i>ექსპლუატაციის განაკვეთი</i>
საოფისე აღჭურვილობა	20 – 40%
ავეჯი და უძრავი ინვენტარი	20 – 40%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება,

აუცილებლობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, გაცხადებულია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

### **სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბასს 23-ით განსაზღვრული განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან, აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით

### **ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში**

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება თვითღირებულებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები შვილობილი და მეკავშირე კომპანიებიდან აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როცა მტკიცდება კომპანიის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

### **ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება და მომდევნო შეფასება**

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და მეორე პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა, როგორც სესხები და მოთხოვნები. ეს ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო

განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი. გაუფასურების ინდიკატორების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. როგორც წესი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად. ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველად აღიარებული ღირებულება ჩვეულებრივ არ იცვლება ხოლმე, ვინაიდან ვალდებულება ზუსტადაა ცნობილი და ანგარიშსწორება მოსალოდნელია მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა. წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

## **ანარიცხები**

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებასა და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად. საგარანტიო ანარიცხები ფასდება ალბათობის მოდელების გამოყენებით, წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

## **არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

## **კაპიტალი**

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

## **დივიდენდების განაწილება**

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე



### 3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე. გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას.

**გადასახადები.** გადადებული საგადასახადო აქტივები აღიარებულია გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგებისათვის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, რომ დაბეგვრადი მოგება ხელმისაწვდომი იყოს, რომლის მიმართ დანაკარგები უტილიზირებული იქნება. მნიშვნელოვანი მენეჯმენტის გადაწყვეტილებები საჭიროა იმ გადადებული საგადასახადო აქტივების ოდენობის დასადგენად, რომელიც შესაძლოა აღიარებული იყოს, მსგავსი დროის გრაფიკის და მომავალი დასაბეგრი მოგების დონის საფუძველზე, სამომავლო საგადასახადო გეგმიურ სტრატეგიებთან ერთად. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია გადავიდა ახალ საგადასახადო მოდელზე (ესტონური მოდელი) 2017 წლიდან, რაც გულისხმობს მოგების გადასახადის დაანგარიშებას საგადასახადო მიზნებისთვის ფასს-ის შესაბამისად, კომპანიას აღარ წარმოექმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

**ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის.** კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

